პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. ფ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრული ურთიერთობის საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 1949 წ. № 34 (8337). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

გავაჩაღოთ შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება—როგორ ხელმძღვანელობს სტალინის რაიკომი პროპაგანდისტებს (მე-2 გვერდი).
ელიზბარ ზედგინიძე — აქვავებული მხარე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად (მე-3 გვერდი).
ერ. ქარელიშვილი — „რკინის პერანგი“ (მე-3 გვერდი).
მეტი პროდუქცია საბრუნავი თანხის თვითთეული მანეთის მიხედვით (მე-3 გვერდი).
პ. ბახტურიძე — ედუარდ გაგრიცკი (მე-3 გვერდი).
ფ. ტერსკი — მდგომარეობა ჩინეთში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები— დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაჩაღოთ შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის

საბჭოთა ხალხი მთელი ძალით ებრძვის ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ამ ბრძოლაში იგი გიგანტურ გამარჯვებებს აღწევს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. კომუნიზმის მშენებლობის გზაზე საბჭოთა ხალხი გამარჯვებებს აღწევს ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით — სოციალიზმის მშენებლობის ამ კომუნისტური მეთოდით.

ყოველ დღეს მოაქვს ღირსშესანიშნავი ცნობები საბჭოთა ხალხის უდიდესი შრომითი წარმატებების შესახებ, შეჯიბრების ახალ-ახალი ფორმების სოციალისტურ მშენებლობაში დანერგვის შესახებ. ახალი ხუთწლედის მესამე წლის საწარმოო გეგმის 106 პროცენტით შესრულება, მრეწველობაში წარმოების ომამდელი დონის 18 პროცენტით გადაჭარბება, 6 მილიარდი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება — ეს ის ნაყოფი, რაც შაბრის საბჭოთა ხალხმა ფაროდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით მოიპოვა.

ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით და ჩვენ ვხედავთ, რომ მომდინარე წელს უფრო ღრმავდება და ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება, მეტდებება მისი ახალი ფორმები. სულ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა მოსკოვისა და მისი ოლქის 103 საწარმოს კოლექტივის მიმართვა დაწყებულიყო შეჯიბრება საბრუნავი სახსრების ბრუნვის დასაჩქარებლად, რაც უფრო განაძტკიცებს საბჭოთა მანეთის კურსს, სახელმწიფოს გაუთავისუფლებს მილიარდობით მანეთს და საბოლოო ანგარიშით უფრო აამაღლებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს. ახლა როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში გულდასმით ამუშავებენ ლენინსმიებებს საბრუნავი სახსრების ბრუნვის დასაჩქარებლად და ამის შედეგად სახელმწიფოსათვის მილიონობით მანეთის გასათავისუფლებლად.

საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ფართოდ ჩაღდება მეშახტეების, ნავთსარეწვების, ქიმიკოსისა და ცელულოიდის მრეწველობის მუშაათა შეჯიბრება.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლომნის კუიბიშევის სახელობის ორთქმავალმშენებელი და სორმოვოს ედანოვის სახელობის ქარხნების კოლექტივები ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში აღუთქვამენ ბელდს, რომ ლითონნის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მასალების ეკონომიით კოლომნის ქარხანა წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 12 სამგზისტრალო ორთქლმავალს, ხოლო ქარხანა „კრასნოე სორმოვო“—მშრალი ტვირთის ერთ თბომავალს, ორ საბუქსირე თბომავალს და 5 სამგზაური ორთქლმავალს.

მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა ამ დღეებში კრასნოხოლმსკის კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწემ ამხ. ა. ჩუტკიხმა. იგი გამოვიდა წინადადებით საფეიქრო მრეწველობაში შეიქმნას პროდუქციის სანიმუშო ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადები, ხოლო თვითონ ბრიგადის სახელით იკისრა გამოუშვას პირველხარისხოვანი პროდუქცია. კრასნოხოლმელი ფეიქრის ამ მისაბაძ ინიციატივას მალე გამოეხმაურნენ მიმბაძველები მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოსა და სსრ კავშირის მრავალ სხვა საფეიქრო საწარმოში.

ეს ინიციატივა მოიწონა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ მინისტრის ამხ. ა. კოსიგინის თავმჯდომარეობით სპეციალურად განიხილა პროდუქციის სანიმუშო ხარისხისათვის მებრძოლი ბრიგადების შეჯიბრების მოწყობის საკითხი. სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა კრასნოხოლმელი ფეიქრის თაოსნობა და წინადადება მისცა საწარმოთა დირექტორებსა და მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს მიიღონ ზომები პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის.

ახლახან დამთავრებულ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე როგორც ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ისე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში განსაკუთრებული უყურადღება აქვს დამობილი პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან ერთ-ერთ მოწინავე, ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. ომამდელი ლენინური ხუთწლედებისა და ომისშემდგომ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ათობით მსხვილი საწარმო აშენდა და ამოქმედდა. ჩვენი დაზგათმშენებელი და ბანქანათმშენებელი ქარხნები პირველხარისხოვან დაზგებსა და ბანქანებს აწვდიან სამშობლოს. წლითიწლობით აუფჯოხებესს საფეიქრო ნაწარმის ხარისხს თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

მაგრამ ამ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენი რესპუბლიკის მრავალი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის საგრძნობი რაოდენობა ხარისხის მხრივ ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ეს განსაკუთრებით შეეხება თბილისის აბრეშუმსაქსოვი და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს, სამკერვალო და ფეხსაცმლის, სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკებს, სარეწო არტელებს მიერ გამოშვებულ პროდუქციას. ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობელი მრავალი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელები უკანასკნელ დროამდე გატაცებული იყვნენ საწარმოო გეგმების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებით და ამავე დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას.

ამიერდან ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუწყნარებელია. საბარათო სისტემის გაუქმებამ, საბჭოთა მანეთის კურსის განმტკიცებამ და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სისტემატურმა ამაღლებამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენეს ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმოები და საკავშირო ორგანიზაციები. მოიმხარებელი ლამაზ, გამძლე და მაღალხარისხოვან საქონელს მოითხოვს. იგი არ ყიდულობს დაბალხარისხოვან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საფეიქრო ნაწარმს. მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაკების, საკავშირო ორგანიზაციების მოვალეობაა დაკმაყოფილონ მომხმარებლის ეს კანონიერი მოთხოვნილება.

მოსკოვის, ლენინგრადის, ივანოვოსა და სხვა საფეიქრო საწარმოებში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად ახლახან დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ უნდა დაენერგოთ ჩვენი რესპუბლიკის ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ ყველა საწარმოში. აუცილებელია გულდასმით დავამუშაოთ ამ შეჯიბრების გაჩაღების ღონისძიებანი, საჭირო მოთხოვნები წაეუყენოთ მომიჯნავე საწარმოებს, რომ მათ მაღალხარისხოვანი ნახევარფაბრიკატებით, დამზმარე მასალებით მოამარაგონ საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკები.

საფაბრიკო მარკის მაღალი ღირსებისათვის ბრძოლა, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ჩვენი მრეწველობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

180 რაციონალური წინადადება

ჭიათურა. (საკ. კორ.). შარშან ჭიათურელმა მაღაროელებმა 180 რაციონალური წინადადება შემოიტანეს, რომელთა განხორციელებამ წარმოებას 576.400 მანეთი ეკონომია მისცა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წინადადება შემოიტანა ინჟინერმა გრ. ნიშალაშვილმა. იგი აუმჯობესებს მაღარიში შრომის ორგანიზაციას და წლიურად 314.000 მანეთი ეკონომიას იძლევა. შინაარსიანი წინადადება შემოიტანა პეროქსიდების გამაუხვებელი ფაბრიკის გამგემ ამხ. ა. ნიკოლაძემ. მან მადნის გაუხვება შემოიღო დგუშიან სალექ მანქანებზე, რითაც წლიურად 113.000 მანეთი იზოგება. ინჟინერმა დ. კუჭაიძემ მაღაროებში დანერგა წინადადება, რომელიც ითვალისწინებს შპურების საკრელი სპირალის ბიჯის გაზრდას. ამ წინადადების განხორციელებით ძალიან შემცირდა ელექტროსაბურღი მანქანების სტატორების ხვიების ბოდაურობა და იზოლაციის დაზიანება.

მნიშვნელოვანი წინადადებები აქვთ აგრეთვე ინჟინერ კ. ჯინჭველაშვილს და მექანიკოს შ. ბუხრაშვილს. მათი წინადადებანი უკვე დაინერგა წარმოებაში. პირველი აღიდებს პროდუქციის გამოსაელიანობას, ხოლო მეორე დიდძალ სამაგრ მასალას ზოგავს. ამჟამად მიმდინარეობს ქრონომეტრული დაკვირვებანი, რათა დაზუსტდეს ამ წინადადებათა განხორციელებით მოცემული ეკონომია. წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ეს წინადადებანი მილიონობით დანაზოგს მისცემენ წარმოებას. კარგი წინადადებების ავტორები არიან ამხ. ვ. საღინაძე, ა. მაროკაძე, ა. მოდებაძე, ცუცქირიძე, რაგინსკი, ჭირაქაძე და სხვები.

მოეწყო რადიოკვანძი

ღუმათი. (საკ. კორ.). სოფელ ფასანაურში დამთავრდა რადიოკვანძის მოწყობა. უკვე გამართულია 50 წერტი. მალე რადიოწერტილების რიცხვი 120-მდე გაიზრდება.

ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდში გასული წლის სექტემბრიდან დაიწყო ქომბინირებული ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობა. შესრულებულია 8 ათასი კუბმეტრი მიწისა და 800 კუბმეტრი რკინაბეტონის სამუშაოები. ჰიპოდრომ-სტადიონი 7 ათას მაყურებელს დაიტევს.

ჰიპოდრომის მოედანზე, რომლის სიგრძეც 700 მეტრია, შესაძლებელი იქნება შეჯიბრების მოწყობა ცხენოსნური სპორტის ყველა სახეში.

ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამთავრდება.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა კისრულობს ახალ ვალდებულებებს

100 ცენტნერი სიმინდი ჰექტარზე

სოხუმი. (საკ. კორ.). რესპუბლიკის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ების მუშაკები გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ“.

— დადგენილებაში,—განაცხადა გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ჯანიამ, — მოცემულია არა მარტო გაწეული მუშაობის შეფასება, არამედ მათელი, ამომწურავი მითითებებიც იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რომ წარმატებით ჩატარდეს საგაზაფხულო ხვნა-თესვა და მოყვანილ იქნას უხვი მოსავალი. წელს ვკისრულობთ 60 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიყვანოთ 100 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 12 ჰექტარი ფართობის თვითთეულ ჰექტარზე — 30 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერისა, 150 ჰექტარზე სამუალოდ — 10 ტონა შავი ქლიავი.

გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ყველა კულტურის მოსავლიანობის გასაადიდებლად. კოლმეურნეობა მზად არის საგაზაფხულო თესვისათვის, საკმაო რაოდენობით აქვთ თესლი, მუშაპირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ამავე სოფლის სტალინის, რუსთაველის სახელობისა და სხვა სოფლის კოლმეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება

ზესტაფონი. (სპეც. კორ.). გაჩაღდა მზადება ვენახების საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

სოფელ დიდი განთიადის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა მ. ტყემალაძემ თქვა:

— შარშან 1 ჰექტარზე 86 ცენტნერი ყურძენი მოვიწიე. დიდი წარმატება მოიპოვა აგრეთვე ჩემთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა ბრიგადირმა კ. ტყემალაძემ, რომლის ბრიგადის წევრებმა თვითეულ ჰექტარზე 76 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. დღდგენილების პასუხად კვლავ ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვიწევე მერგოლურ ი. ტყემალაძეს და კკისრულობ პირადად ჩემთვის მიჩენილი ნაკვეთის 1 ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძნის მოყვანას.

რაიონის 900-ზე მეტი აგიტატორი აცნობს კოლმეურნეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. კოლმეურნეთა შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის.

ახალი შრომითი მამაცობისათვის

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. კვარაცხელიამ საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გააცნო კოლმეურნეთა საერთო კრებას. შემდეგ ლაპარაკობდა:

— დადგენილება მოგვიწოდებს ახალი შრომითი მამაცობისაკენ. ჩვენს კოლმეურნეობას ყველა საშუალება აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის. წელს უნდა ვიბრძოლოთ იმისადგის, რომ 128 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიყვანოთ 28 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერი.

ბრიგადირმა შ. მიქაკამ თქვა:

— ჩვენს შრომას დიდად აფასებენ პარტია და მთავრობა. ეს დადგენილება გვავალებს ერთიორად გავადიდოთ მოსავლიანობა. კკისრულობ 18 ჰექტარ ფართობის ყოველ ჰექტარზე მოვიწიოთ 40 ცენტნერი სიმინდი.

კოლმეურნე გ. ძაძამიამ იკისრა 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 50 ცენტნერი სიმინდი, ხოლო ს. კვარაცხელიამ 6 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე — 45 ცენტნერი.

სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პ. ძაძამიამ პირობა დაფო 8 ჰექტარ ფართობზე მოიყვანოს 100 ტონა სიმინდი, ხოლო მთლიანად კოლმეურნეობამ 40 ჰექტარ ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწიოს 50 ცენტნერი.

სოციალისტური შრომის გმირის წარმავლება

სილნაღი. (სპეც. კორ.). საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში 1947 წლის მიღწევებისათვის სოფელ მაღარის კოლმეურნეობა „შრომაში“ 4 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამან ფერმათა მუშაკები ალაფრთოვანა 1948 წელს უკეთ მუშაობისათვის.

მეცხენეობის ფერმის (გამგე სოციალისტური შრომის გმირი ბ. უსენაშვილი) 1948 წელს გეგმით უნდა მიეღო 70 ფაშატისაგან 45 სული კვიცი, ფაქტიურად მიიღო და გაზარდა 67.

ახალი წარმატებაა მოპოვებული მეცხვარეობის ფერმაში (გამგე შ. ძნელაშვილი), სადაც 10.000 სული ცხვარია. აქედან დასაღლილებელია 5.000 ცხვარი. ფერმა მზად შეხვდა ზოლს, რომელიც 13 თებერვლიდან დაიწყო. შარშან მატყლის დამზადების გეგმა შესრულდა 117 პროცენტით, წელი-დობისა — 123 პროცენტით. ამ წარმატებამი დიდი წვლილი უდევთ ბრიგადირებს სერგო და ალექსი ყანდაშვილებს, მწყემსებს ფირან და იაკო ჯანიკაშვილებს, მ. ბოლოაშვილს, ლ. ვარსიმაშვილს, რ. ვარსიმაშვილს და სხვებს.

ოთხი საკოლმეურნეო ოჯახის შემოსავალი

ბორი. (საკ. კორ.). სოფელ ზედდუღლეთის კოლმეურნეობა „მეურნეში“ სტახანოვურად მუშაობს მეხრე გრიგოლ სამადაშვილი. გასულ წელს მისმა ოჯახმა გამომუშავებულ 700 შრომადღეზე 6 ტონა მარცვლეული და 351 კილოგრამი შაქარი მიიღო. სტახანოველი ოლმეურნის კოტე წერაილაშვილის ოჯახს (კოლმეურნეობა „წითელი მემინდვრე“) 1.000 შრომადღეზე შვიდ ტონაზე მეტი მარცვლეული და 316 კილოგრამი შაქარი ხვდა. სოფელ თორტიხის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის გუფნისდედის ბალეა ახალაცის ოჯახს გამომუშავებულ შრომადღეებზე რვა ტონაზე მეტი მარცვლეული, 690 კილოგრამი ბოსტნეული, 340 კილოგრამი შაქარი და 4.840 მანეთი მიეცა. ზემო სობისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა გიორგი მერებაშვილმა მიიღო 6.650 კილოგრამი მარცვლეული და 500 კილოგრამი შაქარი.

მუშათა ახალი კლუბი

ჟოთაისი. (საკ. კორ.). ამას წინათ მექანიკურ ქარხანაში გაიხსნა მუშათა ახალი კლუბი, რომელიც იტევს 200 მაყურებელს.

კლუბის ეთილმოწყობაზე დაიხარჯა 20 ათასი მანეთი. ეს კლუბი მუშა-მოსამსახურეთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრების გაჩაღების შესახებ

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს სხდომაზე განხილულ იქნა პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრების გაჩაღების საკითხი.

კრასნოხოლმსკის კამვოლური კომბინატის ოსტატის თანაშემწემ ალექსანდრე ჩუტკიხმა ილაპარაკა, თუ როგორ აღწევს მისი ბრიგადა პირველხარისხოვანი ქსოვილის გამოშვებას. სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ ამხ. ჩუტკიხის ბრიგადის სტახანოველი მქსოველები — ამხ. ზახაროვა და ზაბროდინა, პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნები ამხ. ტარასოვი და პოპოვა, პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეები: საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირისა — ამხ. მურავიოვა, სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირისა — ამხ. კაგანოვიჩი, ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირისა — ამხ. ასლანოვი და სხვები.

პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრება ფართოდ არის გავრცელებული საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. ბერეინსკის სახელობის ტროიხგორნაია მანუფაქტურის კომბინატის, ივანოვოს მელანეის კომბინატის, ივანოვოს მოლოტოვის სახელობის დიდი მანუფაქტურის მქსოველები და ოსტატის თანაშემწეები ჩაებნენ შეჯიბრებაში „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის“ წოდების მისაღებად და ვალდებულება აიღეს მხოლოდ პირველხარისხოვანი ქსოვილი გამოუშვან. საუკეთესო ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების პირობის იძლევიან მოსკოვის კაპრანოვის სახელობის ნამზადის საამქროს მუშათა ბრიგადები.

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ მოიწონა ამხ. ჩუტკიხის წინადადება „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების“ წოდების მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. პროფესიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს ახალი ფორმის შეჯიბრების მნიშვნელობა და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ბრიგადების წარმატებით მუშაობისათვის პირობების შექმნაში. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს რჩევა ეძლევათ მოაწყონ საწარმოებში პროდუქციის ხარისხის საზოგადოებრივი დათვალიერება, დაიარსონ სტახანოვური სკოლები და შემოიღონ სხვა სახის სწავლება საქონლის ასორტიმენტის გასაუმჯობესებლად.

პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის სოციალისტური შეჯიბრების წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტის, აგრეთვე იმ დამხმარე მასალის ხარისხზე, რომელსაც წარმოება აწვდიან მომიჯნავე საწარმოები. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს რჩევა ეძლევათ მოიწვიონ საწარმოო კონფერენციები პროდუქციის ხარისხის საკითხებზე მომიჯნავე საწარმოებისა და მზა საქონლის მომხმარებელთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ სამინისტროებთან ერთად შეიმუშაონ „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების“ წოდებისათვის შეჯიბრების პირობები წარმოების დარგების მიხედვით. (საკდესი).

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს საწარმოებში საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი მოსკოვის კრასნოხოლმსკის კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების წოდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის ალექსანდრე ჩუტკიხის თაოსნობის შესახებ და დაავალა პროფკავშირთა ყველა რესპუბლიკურ, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტს ფართოდ გაჩაღოს საწარმოებში ეს სოციალისტური შეჯიბრება.

ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას დაეკალა ფართოდ განუმარტოს მუშებსა და მოსამსახურეებს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმის ნნიშვნელობა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადების წარმატებით მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში, უზრუნველყონ ფართო საჯაროობა შეჯიბრებისა საუკეთესო ხარისხის ბრიგადების წოდებისათვის, აამაღლონ საწარმოო თათბირების ქმედითობა, გაიფართოონ სტახანოვური სკოლების ქსელი. გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მოაწყონ იმ მოწინავე ბრიგადების გამოცდილების გაზიარება საწარმოთა ყველა ბრიგადისათვის, რომლებმაც მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას მიაღწიეს.

საჭიროა საწარმოებში მოეწყოს პროფორგანიზაციების, ოსტატების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მხრივ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადებისათვის საქმიანი დახმარების გაწევა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მოწყობილობის რემონტის საქმეში.

პროფორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზება წარმოებაში დაუდეგრობისა და უკულტურობის წინააღმდეგ, წესის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ მოიწვიონ საწარმოო კონფერენციები პროდუქციის ხარისხის საკითხებზე მომხმარებელთა და იმ მომიჯნავე საწარმოთა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც აწვდიან ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, მოწყობილობას, იარაღებსა და დამხმარე მასალას. (საკდესი).

ელექტრომოწყობილობა ტრაქტორების რემონტისათვის

სატრაქტორო პარკის რემონტს დიდად უწყობენ ხელს სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტროს საწარმოები. საქართველოში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, ყირიმსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამხრეთ რაიონებში უკვე გაიგზავნა 31 ათასი ამუშავების დამაჩქარებელი, 70 ათასი საკონტაქტო ხრახნი, მილიონ მეტრზე მეტი ელექტროსადენი და სხვა მასალა.

ნიკოპოლისა და ჭიათურის მაღაროელთა შეჯიბრება

მარგანეცი. (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 14 თებერვალი. (საკდესი). ჭიათურის მარგანეცისა და ნიკოპოლის მარგანეცის (უკრაინის სსრ) ტრესტების მაღაროელებმა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დადეს 1946 წლის თებერვალში. მაღაროელთა ორივე კოლექტივი წლითიწლობით ახალ-ახალ წარმატებას აღწევს.

1948 წელს ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტმა მადნის მოპოვების გეგმა ვადაზე 70 დღით ადრე შეასრულა და მილიონობით მანეთი ზეკეგმითი დაგროვება მიიღო. შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს აგრეთვე ქართველმა მაღაროელებმა.

შეჯიბრება წელსაც გრძელდება. ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაციამ, რომელიც ამ სტუმრად იყო, ხელი მოაწერა 1949 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 20 დეკემბრისათვის შეასრულოს ამ წლის გეგმა. მან გადაწყვიტა საგეგმო დავალებასთან შედარებით 5 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მაღაროელებიც ვალდებულებას კისრულობენ ამავე ვადისათვის შეასრულონ დავალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

როგორ ხელმძღვანელობს სტალინის რაიკომი პროპაგანდისტებს

პარტიული განათლების წრეებისა და სკოლების მუშაობის ხარისხი უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდური მომზადების დონეზე, მათ უნარსა და მონდომებაზე დაეხმარონ მსმენელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში.

ეს კარგად გაითვალისწინა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიონული სტალინის რაიკომმა და თავიდანვე განსაკუთრებული მზრუნველობით ეოეკიდა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებას მაღალკვალიფიციური და საქმის მოყვარული პროპაგანდისტებით.

— პროპაგანდისტების შერჩევა და განაწილება მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის ბოლშევიკურად მოწყობის უზრუნველყოფა დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა თეორიულ მომზადებასა და მეცადინეობათა მზადყოფნაზე. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პროპაგანდისტთა მორის მუშაობას, — ამბობს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძე.

პროპაგანდისტებისათვის დახმარების ძირითად ფორმას სემინარი წარმოადგენს. პროპაგანდისტთა სემინარი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა მუშაობას. სემინარის ხელმძღვანელები — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. კალანდარიშვილი, პედსასწავლებლის დირექტორი ე. ხუციურიანი და რაიკომის მუშაკი ა. ანჯაფარიძე ენერგიას არ იშურებენ სემინარის მუშაობის მაღალ იდეურ დონეზე დაყენებისათვის. ყოველი მეცადინეობის წინ სემინარის ხელმძღვანელები წინასწარ იკრიბებიან, ადგენენ მეცადინეობის ჩატარების კონკრეტულ გეგმებს, საუბრობენ მეცადინეობის ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე.

სემინარის მუშაობის ნაყოფიერად წარმართვის შედეგად ყოველი მეცადინეობა პროპაგანდისტთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობს. წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელები სისტემატურად გამოდიან მოხსენებებით, აყენებენ ახალ საკითხებს, მონაწილეობენ მეთოდური საკითხების გადაჭრაში და განუხრელად იფარფატებენ თავიანთი თეორიული მომზადების ჰორიზონტს. სემინარის მეცადინეობაზე მაღალი შეფასება მიიღო პროპაგანდისტების ამხ. გ. ჩიხლაძის, გ. გოშაძის და ნ. ლებანიძის თეორიულმა მოხსენებებმა. ამხ. გოშაძის მოხსენების თემა იყო: „მარქსისტული დიალექტიკის ძირითადი ნიშნები“, ამხ. ლებანიძისა — „დიალექტიკური მატერიალიზმი ბოლშევიკური პარტიის მსოფლმხედველობაა“.

პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელები თავიანთ მუშაობას პროპაგანდისტებთან სემინარული მეცადინეობით როდი ამთავრებენ. ისინი მიდიან საწარმოებში, დაწესებულებებში და ეხმარებიან წრეებისა და სკოლების პროპაგანდისტებს. პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობას სემინარის ხელმძღვანელებთან ერთად სისტემატურად ესწრებიან რაიკომის მუშაკები. შემდეგ სემინარზე ეწყობა ცალკეული პროპაგანდისტთა გამოცდილების განზოგადება, მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობის გარჩევა და სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა სემინარის ხელმძღვანელის ამხ. ე. ხუციურიანის მაგალითი. მან საფუძვლიანად შეისწავლა პროპაგანდისტების ამხ. აბგაროვის, მეგანეფშვილის, ბუკრეევის, ლაქტიონოვის და სხვების მუშაობა და მოაწყო მათ მიერ ჩატარებულ მეცადინეობათა განხილვა. ამხ. ხუციურიანმა პარალელურად შეისწავლა აგრეთვე ცალკეული პროპაგანდისტებისადმი პარტიული ორგანიზაციების დახმარების საკითხი და პარტიის რაიკომის დახმარებით უზრუნველყო წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა მუშობისათვის სათანადო პირობების შექმნა.

სემინარის ხელმძღვანელები პოლიტსკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა საორიენტაციოდ ცალკეულ თემებზე ადგენენ მეცადინეობის ჩატარების გეგმებს საკრიო მეთოდური მითითებებით.

პროპაგანდისტთა დასახმარებლად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიკომის პარტკაბინეტი. პარტკაბინეტში სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. შექმნილია კონსულტანტთა ჯგუფი, რომელიც ქმედით დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს. პარტკაბინეტი ცალკეული თემების მიხედვით თანმიმდევრულად აწყობს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამოფენას, ამარაგებს პროპაგანდისტებს სათანადო სახელმძღვანელოებით.

ახალგაზრდა პროპაგანდისტებისათვის დამატებით ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. ამას წინათ მათთვის მოეწყო კონსულტაცია თემებზე: „როგორ მოვემზადოთ მეცადინეობისათვის“, „როგორ ჩავატაროთ თეორიული ა გასაუბრება“ და სხვ.

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ რაიკომთან შექმნილია პროპაგანდისტთა რეზერვი. რეზერვის პროპაგანდისტები სისტემატურად ესწრებიან სემინარის მეცადინეობას და იმაღლებენ თავიანთი მომზადების დონეს. რაიკომმა პარტკაბინეტთან პროპაგანდისტებისათვის გამოჰყო სპეციალური ოთახი, რომლის მოწყობა ამ დღეებში დამთავრდება. ამ ოთახისათვის უკვე გამოყოფილია სათანადო ინვენტარი, ლიტერატურა და ხელსაწყოები.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეებშივე რაიკომის მბიურომ მოისმინა პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობის საკითხი. ბიუროს აუარადღება გაამახვილა სემინარის მუშობის ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ სემინარის ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ესწრება წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობას, დაბალია ზოგიერთი პროპაგანდისტის აქტივობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, ზოგი პროპაგანდისტი არ ესწრება სემინარის მეცადინეობას. რაიკომის ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება, რის განხორციელების საფუძველზეა მდგომარეობა გამოსწორდა.

რაიკომის ბიურო არ კმაყოფილდება პარტიული განათლების ქსელის ცალკეული მტკივნეული საკითხების განხილვით. ბიურო ხშირად იხილავს პროპაგანდისტების მუშობისა და მათდამი დახმარების საკითხებს. მაგალითად, ბიურომ მოისმინა № 3 ლუდის ქარხნის პოლიტსკოლების ხელმძღვანელების ა. გვენაძისა და გ. დოღონაძის, „მკერავთა კომუნის“ პოლიტსკოლის პროპაგანდისტის ვ. გურგენიძის, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნის პარტიის ისტორიის წრის ხელმძღვანელის ი. საკარეიშვილის და სხვების მუშობის საკითხი და დაუსახა მათ სათანადო ღონისძიებანი.

პროპაგანდისტებთან მუშობის კარგად დაყენების შედეგად შესამჩნევად გაუმჯობესდა პარტიული განათლების ქსელის მუშობა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე (ხელმძღვანელი ა. ქაჯაია), ფანერის ქარხნის პოლიტსკოლა (ხელმძღვანელი ტ. აბგაროვა). აღნიშნული პოლიტსკოლისა და წრის მსმენელებს სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე უმიზეზოდ არც ერთი მეცადინეობა არ გაუცდენიათ, არ ყოფილა მეცადინეობის გადადების ან ჩაშლის შემთხვევა. პროპაგანდისტები ქაჯაია და აბგაროვა ყოველ მეცადინეობას მიმზადებელად და ძალაღლიდერ დონეზე ატარებენ, შესასწავლ თემას მოხერხებულად უკავშირებენ საწარმოთა კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეს.

ასე როდი ითქმის № 3 ლუდის ქარხნის პოლიტსკოლის მუშაობაზე, რომელსაც პროპაგანდისტი ამხ. გ. დოღონაძე ხელმძღვანელობს. ამ სკოლის ერთ-ერთ მეცადინეობას, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, 26 მსმენელიდან მხოლოდ 12 დაესწრო. ოთახში, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა, ძალიან ცივდა. პროპაგანდისტი ამხ. დოღონაძე მეცადინეობისათვის სათანადოდ არ იყო მომზადებული, შესასწავლ თემაზე თხრობა სუსტად და არათანმიმდევრულად ჩაატარა, დასმული კითხვებზე პასუხისათვის მსმენელებს მოეთხოვებინა საშუალებას არ აძლევდა. პროპაგანდისტ დოღონაძის პოლიტსკოლის მუშაობის დაბალი დონე პირველ რიგში იმითაც უნდა აიხსნას, რომ ის აშკარად ესწრება პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობას და სუსტად მუშობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომმა პროპაგანდისტებისადმი დახმარება უფრო უნდა გააძლიროს, აღმოფხვრას პარტიული განათლების ქსელში არსებული ნაკლოვანებანი. ამას გვაძალებენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

კ. სიხარულიძე

ა. ს. პუშკინის დაბადების 150-ე წლისთავისათვის

11 თებერვალს ა. ს. პუშკინის დაბადების 150-ე წლისთავის ოფიციალს მომწყობ საკავშირო კომიტეტში გაიმართა პოეტის ოფიციალური ... ...

საქართველოს კ. პ. (ბ) **XIV** ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად

პირველი ნაბიჯები უხვი მოსავლის მიღებისათვის

უხვი მოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სარწყავი ქსელის გადიდება. ამიტომაა, რომ ქარელის რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სარწყავი არხების მშენებლობა. მარტო სალთვისის არხით, რომლის მშენებლობისათვის მშრომელებმა დიდი მუშაობა გაწიეს, წელს უზრუნველყოფილ იქნება 6.845 ჰექტარი მიწის მორწყვა. გარდა ამისა, სკრა-ქარელის სარწყავი არხის საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად წელს მოირწყვება 1.665 ჰექტარი ფართობი.

კოლმეურნეები წარმატებით მუშაობენ აგრეთვე ლეთთისის სარწყავი არხის მშენებლობისათვის. დღემდე დარჩენილია ათასსუთასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, რასაც აარულებენ სოფელ ჯვრისა და ქარელის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები. მათ პირობა დასდეს, რომ სარწყავ არხს საექსპლოატაციოდ გადასცემენ მიმდინარე წლის აპრილში. ეს შესაძლებლობას მისცემს მათ მორწყონ 560 ჰექტარი მიწა.

შენდება პატარა სარწყავი არხებიც. ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობა ტარდება სოფელ ამისში, ზღუდერში, ამანოში, ქვენაკოცაში, ხვედურეთში, თამარაშენში და ბრეძაში. გათვალისწინებულია ამ პატარა სარწყავი არხების ვაყვანა დამთავრდეს 15 აპრილამდე. ამით უზრუნველყოფილი იქნება 800-მდე ჰექტარი ფართობის მორწყვა.

აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების შედეგად რაიონში წელს მნიშვნელოვნად გადიდდება სარწყავი ფართობი. თუ 1945 წელს სარწყავი ფართობი მხოლოდ 4.200 ჰექტარი იყო, 1949 წელს ეს ფართობი გადიდდება 8.960 ჰექტარამდე. კოლმეურნეობებს გათვალისწინებული აქვთ სარწყავი ფართობი უმთავრესად მარცვლეულისა და ბაჭრის ჩარხლის ნათესებისთვის გამოიყენონ. მათ ვალდებულება აკისრეს აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარებით წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 18-20 ცენტნერამდე აიყვანონ.

მოსავლიანობის გასადიდებლად წელს დიდი ყურადღება დაეთმობა თესლბრუნვას. შარშან აქ მოუგვარებელი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შენაცვლება. წელს კი 53 კოლმეურნეობაში მოეწყობა თესლბრუნვა. შარშანდელთან შედარებით დამატებით ათვისებულ იქნება 700 ჰექტარამდე ფართობი, მათ შორის 200 ჰექტარი ყამირი მიწა. ამ ფართობებზე დაითესება მარცვლეული კულტურები. წელს დამატებით გააშენებენ 60 ჰექტარ ხეხილს, 42 ჰექტარ ვენახს.

ქარელის რაიონში ხშირი ქარები იცის, რაც საგრძნობლად აზიანებს ნათესებს. შარშან რაიონმა კარგი ინიციატივა გამოიჩინა, და სალთვისის არხის ნაპირებზე დარგულ იქნა 90.000 ძირი აკაცია და ვერხვი. წელს დამატებით მინდორსაცავი ტყის ზოლების მოსაწყობად სალთვისის არხის ნაპირებზე დაირგვება ასი ათასი ძირი ხე.

უხვი მოსავლის მოყვანა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მომზადებულად შეხვდებიან კოლმეურნეობები საგაზაფხულო სამუშაოებს. ამიტომ რაიონში გაცნობიერებით მუშაობენ საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებლად. საკოლმეურნეო ინვენტარის რემონტის ეგემა რაიონში შესრულებულია 90 პროცენტით. ქარელის, რუფისის და აგარის მტს-ების კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს ტრაქტორების რემონტის გეგმა. ამჟამად არემონტებენ კომბაინებს.

სერიოზული ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო კადრების მომზადებას. წელს სპეციალურად მოწყობილ კურსებზე, სემინარებსა და წრეებში სწავლობს 1.290 კოლმეურნე, უკვე მომზადებულია 100 ბრიგადირი და 135 მრგოლური.

შარშანდელზე გაცილებით უკეთ ახორციელებენ აგრეთვე საზამთრო აგროტექნიკურ ღონისძიებებს. კოლმეურნეობათა მინდვრებში შეზიდულია 20.000 ტონამდე ნაკელი.

ორგანიზებულად ტარდება კოლმეურნეობათა საანგარიშო კრებებიც. კრებები უკვე ჩატარდა 60 კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობებში აღგზენ 1949 წლის საწარმოო გეგმებსა და დავალებებს ბრიგადებისა და რგოლებისათვის. საწარმოო გეგმებისა და დავალებების შემუშავებისას ისინი ითვალისწინებენ ყველა ღონისძიებას მოსავლიანობის გასადიდებლად.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში არის ნაკლიც. ზოგიერთი კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის კონდიციური თესლით. მაგალითად, სოფელ ღოღლაურის ვორონეზოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. ბოსიკოვი) მიერ ლაბორატორიაში შესამოწმებლად მიტანილი ქერის თესლი უკონდიციო აღმოჩნდა. ასევე კონდიციამდე არ აუყვანიათ არც ერთი კილოგრამი თესლი სოფელ ღოღეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, მოხისის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ“ და სხვ., სულ 30-მდე კოლმეურნეობას. როგორც ჩანს, ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენს ამ უმნიშვნელოვანესი სამუშაოს შესრულებაში.

სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებას აკლია სპეციალისტები. თვით აპარატში არ ჰყავთ მეთესლე აგრონომი, მგეგმავი, მეევნახე აგრონომი და უბნის ვეტექიმი. შარშან მისაწი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რუისის მტს-იდან აგრონომი ი. დადიანი გადაიყვანა გორში სამუშაოდ, ხოლო მტს-ს სამაგიერო არ გაუუზავნია. ასევე ქარელის მტს-ის უფროსი აგრონომი დ. კოტეტიშვილი გადაიყვანეს სხვა რაიონში სამუშაოდ, ხოლო ეს მტს-ი უაგრონომოდ დატოვეს. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი ალმავლობა გამოიწვია კოლმეურნეებში. ამ დადგენილების პასუხად რაიონის კოლმეურნეობები კისრულობენ ახალ გადაღებულ ვალდებულებებს. ისინი მთელი ენერგიით მუშაობენ იმისათვის, რომ სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებაში და 1949 წელს მოიყვანონ უხვი მოსავალი.

შ. ჯოჯუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი



რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ერთ-ერთი უბანი, სადაც უკვე აღმართულ სამი კოჯერი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

მეჯი პროდუქცია საბრუნავი თანხის თვითეული მანეთის მიხედვით

★ ★

3 დღეში 90 მეჯრი ქსოვილი ყოველი საქსოვი მანქანიდან

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა გულდასმით განიხილა ის ღონისძიებები, რაც დაიჩქარებს ფაბრიკის საბრუნავ თანხათა ბრუნვას, სახელმწიფოსათვის ახალი ფულადი საშუალებების განთავისუფლებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ ფაბრიკაში შემდგარ მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე აზრი გამოთქვეს ფაბრიკის დირექტორმა ე. ღავთაძემ, საქსოვი საამქროს უფროსმა ინჟინერმა ა. ცარციძემ, მომარაგების განყოფილების უფროსმა გ. ბზვანელმა, საბარეტური საამქროს უფროსმა გ. ზომასურიძემ, მრავალდაზგოსანმა მქსოველმა ვ. მეხრაძემ და სამღებრო განყოფილების გამგემ შ. რაზმაძემ.

ფაბრიკის კოლექტივმა შესაძლებლად ცნო წარმოების ციკლის დაჩქარებისა და ნორმატივების შემცირების, აგრეთვე მანქანა-დანადგართა და მუშათა შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდის შედეგად მიაღწიონ ქსოვილთა თვითეული ტექნიკური ნაჭრის გამოშვებას ერთ საქსოვ მანქანაზე (ტექნიკური ნაჭერი 90 მეტრია), ნაცვლად 4 დღისა სამ დღეში. გარდა ამისა, კოლექტივმა მიიღო და დამტკიცა მთელი რიგი სხვა პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, რითაც საბრუნავი თანხების ბრუნვა პროდუქციის სარეალიზაციო ვადის შემცირებასთან ერთად დაჩქარდება 2 დღით და ამით სახელმწიფოს გათავისუფლდება 900.000 მანეთი.

ერთ მანეთად სამმანეთნახევრის საქონელი

— ვკისრულობთ ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად დავაჩქაროთ თანხების ბრუნვა 3 დღით და ამით სახელმწიფოს ჩვენს საბრუნავ საშუალებათაგან გავთავისუფლოთ 1.500.000 მანეთი.

გარდა ამისა, ვკისრულობთ მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ საბრუნავი თანხის თვითეული მანეთის მიხედვით საქმეზელ 3 მანეთისა და 50 კაპ. სასაქონლო პროდუქცია, 1940 და 1948 წლების 3 მანეთისა და 20 კაპ. პროდუქციის ნაცვლად.

ასეთი ორი ძირითადი ვალდებულების შესრულება იკისრა თბილისის სართავ-საქარეხაო კომბინატის კოლექტივმა საბრუნავ თანხათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოსთვის ახალი თანხების განთავისუფლების შესახებ მოსკოვის 103 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა მოწოდების საპასუხოდ.

ამ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფად დამუშავებულია კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა რეალიზაციისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ საწარმოო უბნების ხელმძღვანელებს. კომბინატის თავკერა ინჟინერს ამხ. გონჩაროვს დაკისრებული აქვს, მაგალითად, განახორციელოს ისეთი ტექნოლოგიური ღონისძიებები, რომლებიც გამოიწვევენ სართავ დადგმულობათა ნაყოფიერების გადიდებას 1949 წლის პირველ კვარტალში 8 პროცენტით, მეორე კვარტალში — 9,4 პროცენტით, მესამე კვარტალში — 10,6 პროცენტით და მეოთხე კვარტალში — 11,6 პროცენტით.

კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსებმა მოწინავე სტახანოველების მონაწილეობით დაამუშავეს 29 სხვადასხვა ხასიათის ღონისძიება და შეიგროვეს მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა განხორციელება უკვე დაწყებულია. ეს უზრუნველყოფს კომბინატის კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განადგურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდ ბაგრიცკი

(გარდაცვალების 15 წლისთავი)

პირველ მსოფლიო ომს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოყვა. ცარიზმის გახრწნილი რეჟიმით განაწყობებმა მუშათა კლასმა და გლეხობამ რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებთან ერთად დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრდნენ კონტრრევოლუციის ძალები. გაჩაღდა სამოქალაქო ომი შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ. სამოქალაქო ომის გმირულ ბრძოლებში მშრომელთა ბრავალმილიონიანი მასები ჰედდნენ ურიცხვ მტერზე თავიანთ გამარჯვებას. ამ თავგანწირულ ბრძოლებში იუფდებოდა ედუარდ გორგასლიე ბაგრიცკის პოეზიაც.

ბაგრიცკი, რომელმაც თავისი ლექსების ბეჭდვა რევოლუციამდე ცოტა ხნით აღრე დაიწყო, მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატად სამოქალაქო ომის წლებში ჩამოყალიბდა. მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლას ახალგაზრდა პოეტი მარტო შემოქმედებითი გზნებით როდი — ემსახურებოდა. იგი უშუალოდ მონაწილეობდა სამოქალაქო ომის ბრძოლულ ეპოპეაში როგორც საბჭოთა წყობილების დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ოფიცდებული ჯარისკაცი და ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკის მხურვალე პატრიოტი. რევოლუციური ბრძოლების ამ მრისხანე ჭიქიოდში ბაგრიცკიმ თავი გამოიჩინა როგორც საბჭოთა არმიის, პარტიზანთა რაზმების, სახელგანთქმული პირველი ცხენოსანი არმიის მამაცმა მეომარმა. ვლადიმერ მაიაკოვსკის მსგავსად ჩვენი არმიის მებრძოლებისა და რევოლუციური მასების მტკიცედ დარაზმვის დიად ამოცანას ემსახურებოდნენ უკრაინაში ბაგრიცკის მგზნებარე კალამი და მხატვრის ფუნჯი სამხრეთის ფრონტზე „ფანჯარების“ („იუეროსტა“) „ფანჯარების“ გაფორმებისას. აი როგორ იგონებენ ბაგრიცკის ამ პერიოდის მუშაობას მისი ყოფილი პარტიზანი მეგობრები: „პარტიზანთა რაზმში ყოფნის დროს ამხანაგი ბაგრიცკი წერდა შესანიშნავ ლექსებს, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ მებრძოლებს. იგი უამრავი ფურცლების ავტორია; ეს ფურცლები განუმარტავდნენ შრომიმელებს მოვლენათა არსს, მოუწოდებდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლების დაცვისაკენ“.

ამრიგად, სამოქალაქო ომის ფრონტზე იწრთობოდა ე. ბაგრიცკის საუკეთესო ნაწარმოებთა შესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც შემდეგ საბჭოთა პოეზიის საგანძურში შევიდნენ. ამ ნაწარმოებთა შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვან ქმნილებად უნდა ჩაითვალოს მისი პოემა „სიმღერა ათასსეზეზე“. მასში ავტორმა ღრმა სიყვარულის გრძნობით დაგვიხატა სამოქალაქო ომის ლეგენდარული სახალხო გმირი გრიგოლ კოტოვსკი. პოეტი მას გვისახავს, რომგრიც მტკიცე ნებისყოფის, შეუდრეკელი სულის მხედართუფროსის და ფოლკლორული ეპიტეტებით აკმაზს ჩვენი არმიის ამ ერთ-ერთ შესანიშნავ სარდალს, რომელმაც სასტიკად დაამარცხა ბანნოველთა რაზმები, ხელთ იგდო მოთარეშე, დამრბევი ათასნაირ, რომელმაც ფრნთი ვერაგულად დახვრიტა ბოლშევიკი კომისარი იოსებ კოგანი. იშვიათი ცხატერული ოსტატობით, დახვეწილი, ლაკონიური სტილით არის აღწერილი ამბები პოემაში „სიმღერა ათასსეზეზე“, სკულპტურული მკაფიობით არიან გამოკვეთილი პოემის ვმრიები და მათი ხასიათები. პოემის ეპილოგში სულ რამდენიმე სტროფით არის გამოხატული მომავალ თაობათა განცდები და დამოკიდებულება სამოქალაქო ომის გარდასულ გმირულ დღეებისადმი და იმ ადამიანთა მიმართ, რომლებმაც გმირული ბრძოლებით, თავდადებითა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით უკვდავების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელი.

ძლიერი პოეტური შთაგონების ბეჭედი აზის ბაგრიცკის ლექსს „სიტბარი კომკავშირელ ნ. დემენტიევთან“. ამ ლექსში ნათლად გამოსჭვივის ავტორის პატრიოტული სულისკვეთება, მისი მზადყოფნა ყოველი განსაცდელის ჟამს სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგეს ახალგაზრდობასთან ერთად, მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა.

ღრმა ემოციური დაძაბულობით გამოირჩევა ბაგრიცკის ლექსი „ნორჩი გოგონას გარდაცვალება“. ეს ლექსი პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მასში ღრმად იგრძნობა მისწრაფება სიცოცხლის დამკვიდრებისადმი, ძველ, დახავსებულ ზეხდულებებზე ახლის, სიცოცხლის უნარის მქონე იდეების გამარჯვებისადმი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილს თავისი შავი ფრთა გაუშლია ადამიანის ნორჩი სიცოცხლის მოსაკვდინებლად. პოეტის აზრით უკვდავია სიკვბუკე, არ შეიძლება მისი დაღუპვა, რადგან იგი, ეს სიკვბუკე ხმალამოწვდილი მიდიოდა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ სალაშქროდ კოონშტატის ყინულებზე, ტრამალებსა და ფართო მოედნებზე; რადგან იგი, ეს სიკვბუკე, საბრძოლო მერანზე ყელმოღერებით მჯდომი, ზედიზედ აღუწევდა გამარჯვებას და „თავის მამაცობას განამტკიცებდა ფოლადითა და ტყვეთით“. ამ ნაწარმოებში სიტყვიერი მასალის უაღრეს დახვეწასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ექცევა ბუნების ძალთა და ადამიანის განცდებს შორის პოეტის თვალით დანახული სრული ჰარმონიულობა; ლექსში ბუნების მოვლენათა ორგანულად შერწყმა ადამიანის ფიქრისა და გრძნობის რთულ სამყაროსთან ამ გარემოების თვალნათლივ ადასტურებს.

ედუარდ ბაგრიცკის ნაწარმოებნი, ვიდრე გამოვიღოდა 1934 წელს მისი ერთტომეული, სულ სამ წიგნად იყო გამოსული. პირველი მისი წიგნი „ზღვის“ გამომცემლობით 1928 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით — „სამხრეთ-დასავლეთი“, მეორე წიგნი „გამარჯვებულნი“ გამოიცა 1932 წელს და იმავე წელს გამოცემულ იქნა ბაგრიცკის მესამე წიგნი „უკანასკნელი ლაშქარ“. დაიბეჭდა აგრეთვე მისი სახელგანთქმული პოემის („სიმღერა ათასსეზეზე“) სიუჟეტზე აგებული ოპერის ლიბრეტო ამავე სახელწოდებით.

შემოქმედებითი შრომის პათოსით აღსავსე ჩვენს დღეებთან ედუარდ ბაგრიცკის პოეზია მკვიდროდ არის დაკავშირებული თავისი ოპტიმისტური სულისკვეთებით, ბრძოლისა და სიცოცხლის სიყვარულსადმი მიძღვნილი მომხიბვლელი სიმღერით.

პ. ბახტურიძე

„რკინის პერანგი“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმა

დიდი სამამული ომის გმირულ ეპოპეაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის მისადგომებთან მტრის განადგურებას. კავკასიის მისადგომებთან გამართულ სასტიკ ბრძოლებში, ისევე როგორც ომის ყველა სხვა ფრონტებზე, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები მოძმე საბჭოთა ხალხების შვილების მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

შემთხვევითი რიდია, რომ კავკასიის დაცვა ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად გადაიქცა.

ამ თემას ეხება გიორგი შატბერაშვილის პიესა „რკინის პერანგი“, რომლის დადგმა განხორციელა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა. პიესა ყურადღებას იქცევს მწერლის გულწრფელი მიწრაფებით — გადადგიმულოს ქართველი საბჭოთა ადამიანის გმირული თავგადასავალი, გვიჩვენოს პატრიოტული საქმეები. ღრმამატრგმა წინ წამოსწია ჩვენელებრივი ადამიანები და მათი სულიერი განწყობილების მაგალითით გვიჩვენა ჩვენი ხალხის იდეურ-მორალური სახე. ეკუთვნის სცენაზე უბრალო მეწისქვილეს, მეფუტკრეს, რიგითს კოლმეურნეს, მათს პატიოსან შრომას, ერთმანეთისადმი კეთილშობილ დამოკიდებულებას, საერთო, საზოგადოებრივი საქმისადმი სიყვარულსა და ნათლად ხედავი, თუ რა არის ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყარო.

საბჭოთა წყობილებამ, ბოლშევიკურმა პარტიამ, ენინმა და სტალინმა ჩვენი ხალხი აღზარდეს კომუნიზმის სულისკვეთებით. უბრალო საბჭოთა ადამიანი აქცეს კომუნიზმის შენებელ მშენებლად, რიგიც სისტემთა და ხორცით დაკავშირეს ეგი ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და მომავალთან?

გიორგი შატბერაშვილი „რკინის პერანგში“ შეეცადა აწერილ ეს გრეშეოება ეჩვენებინა და საბჭოთა სოფლის ძველი და ახალი თაობა ერთმანეთისათვის კი არ დაეპირისპირებინა, არამედ მოენახა მათში საერთო განცდები, ნაერთო მისწრაფებანი,—საბჭოთა პატრიოტიზმი დაეხატა, როგორც საბჭოთა ადამიანის, ამ შემოხვევაში კოლმეურნის, უშუალო ჭრნმნობა. კოლმეურნეობამ გარდაქმნა ბიჭის ყოფა, უბრუნველყოფილი, ბედნიერი და კულტურული ცხოვრება შეუქმნა მას. ჭლეს უყვარს თავისი კოლექტიური მეურნეობა. ეს ჭრნმნობა პიესაში სიმამთლითა და მხატვრული დამაჯერებლობითაა გადმოცემული. ეცნობით კოლმეურნეთა სხეულს და გაგიერთ, რომ საჭირო შემთხვევაში ისინი თავს არ დაზოგავენ, რათა შრომელიერ ფრიად ფრთხილ, ბალანსირებულ, ბალანსირებულ ადამიანად ეჩვენებინა ეგ. ეგ ეგ ეგ

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანელთა წრეები ნანკინში შეშფოთებამ და პანიკამ მოიცვა: ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები ქალაქის ახლო მისადგომებზე იმყოფებიან. პრესის უკანასკნელი ცნობებით, ალებულია ნანყინთან 10 კილომეტრზე მდებარე ნეიჯენი. ქალაქში ისმის არტილერიისა და ტყვიამფრქვევთა სროლა. გომინდანის მთავრობა საჩქაროდ ტოვებს დედაქალაქს და გადადის კანტონს.

პანიკა და არეულობა გომინდანელთა და მათ მომხრეთა შორის შინახიშიც. ნანკინთან სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. ქალაქი გაუხდელია უკანდახევილი გომინდანელთა ჯარებით.

უკანასკნელ თვეებში ჩინეთის სახალხო არმიამ ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა გომინდანის რეაქციისა და ამერიკელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ომში. გომინდანელები განდევნილი არიან მანჯურიიდან. სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა ჩრდილოეთი და ცენტრალური ჩინეთის ძნიშვნელოვანი სამხედრო სტრატეგიული პუნქტები — ქალაქები ძინანი, კაიფინი, ბაეოდინი, ჯენჯოუ, სეიჯოუ, ბენპუ. განთავისუფლებელია ჩრდილოეთ ჩინეთის უდიდესი ეკონომიური ცენტრი — ტიანძინი და ჩინეთის ყოფილი დედაქალაქი, ჩინური კულტურის აკვანი — პეიპინი. ამავამად განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა წაიწიეს ტიანძინ-პუოუოს რკინიგზის გასწვრივ და თავს იყრიან ჩრდილოეთ ნანპრაზე, ნანჯინის, ხანკოუს, შანხაის მისადგომებზე. განთავისუფლებელი ქალაქების მოსახლეობა ზეიმით ეგებება სახალხო ჯარებს.

სამოქალაქო ომის დასაწყისში ჩან კაი-შის არმიის აღტეკვილობა, ადამიანთა და მატერიალური რესურსების ბევრად აღემატებოდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის აღჭურვილობასა და რესურსებს. გომინდანელებს ჰქონდათ თანამედროვე მეფრენელობა და სატანსპორტო საშუალებანი. ისინი ეყრდნობენ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას იღებდნენ ამერიკელი მონოპოლისტებისაგან. ყოველივე ეს არ ჰქონდა სახალხო არმიას.

ეკრ კიდეკ ეკა ხნის წინათ გომინდანელთა ჯარებს მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ეს ბრძოლა ბევრ ადგილებში ხანგრძლივად ტარდებოდა. ჩან კაი-შის ჯარებს, მაგრამ, მიუხედავად სასტიკი ბრძოლისა, იგი სისტემატიურად ეზრდებოდა და მტკიცდებოდა. 1946 წლის ივნისში ჩინეთში ერთ მილიონ 200 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო. 1948 წლის ივლისში მან მიიღწია ორ მილიონ 800 ათასს, ხოლო ამ ეტაპად სახალხო არმიის რიცხვი სამ მილიონ კაცს აღემატება.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელსაც ჩინეთის გომინდანელთა ოკუპაციის წინაშე, ანალიზ ხელი გადო ინიციატივაზე, გააჩაღა შეტევითი ოპერაციები ფრონტის მთელ ხაზზე და ახალი ამერიკული ტექნიკით აღჭურვილ ჩან კაი-შის ჯარებს ოცნაზღვრებელი, მომაკვდინებელი ზარალი მიაყენა. არასრული ცნობებით, მარტი 1948 წლის პირველ ნახევარში დემოკრატიულმა არმიებმა განადგურეს გომინდანელთა 147 დივიზია, აქედან 111 მოლად მოსპეს. გასული წლის მეორე ნახევარში სახალხო ძალებმა მტრის 15 დივიზიით მეტი განადგურეს, ვიდრე ომის პირველ ორ წელიწადში.

გომინდანური რეაქცია და მისი ამერიკელი სულისჩამდგმელნი ორმაგ თამაშს ეწევიან: ისინი ცდილობენ ყოველი საშუალებით შეაჩერონ დემოკრატიული ძალების შეტევა, შესვენება მოიპოვონ და ამავე დროს გადაეცემებით ცდილობენ შეაგროვონ თავიანთი ჯარების ნაშთები, რათა კვლავ გაუწიონ წინააღმდეგობა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას სამხრეთ ჩინეთში. მაგრამ რეაქციის ახალი ხრიკები სამარცხვინოდ ჩაიფიშვნა.

ამასწინათ საინტერესო ინფორმაცია გააკეთა ინგლისელთ ბანდეთ „ტაიმსის" ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა. მან განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვართ ვალიაროთ, რომ მარტო იარაღით ვერაფერს გაუწყობს კაცი ომს, სადაც არ არსებობს არაკეთილი იდეალი და არაკეთილი მორალი". ამრიგად, ამერიკელი და ინგლისელი ბატონუფროსები პრესასთვისაც კი ნათელა, რომ ჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩაიფიშვნა.

ჩინეთში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის განცხადებამ სავსებით გამოაშკარავა ჩან კაი-შის წამოწყებული „შვიდობიანი შეტევის" ნამდვილი ხასიათი. ამ განცხადებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ გომინდანის მიერ წარმოდგენილი პირობები „სამოქალაქო ომის განგრძობის და არა" შვიდობის დამყარების პირობებია". ამავე დროს ჩინეთის კომუნისტური პარტია ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებისა და ხალხის მასების ტანჯვა-წამების შემსუბუქების მიზნით დათანხმდა დაეწყო სახალო მოლაპარაკება. კომპარტიამ წამოაყენა თავისი სახალო პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ ჩინეთის ხალხის ნება-სურვილს, თვალსაზრისს ამ სამხედრო დამნაშავეთა დასჯას და ჩინეთის დემოკრატიულ გარდაქმნას.

მაო ძე-დუნის განცხადების გამოქვეყნების რამდენიმე დღის შემდეგ ჩან კაი-შიმ გამოაცხადა ჩინეთის პრეზიდენტის პოსტიდან „გადადგომა" და თავისი რწმენებანი გადასცა ვიცეპრეზიდენტ ლი ძონ-ჟენს. მაგრამ თავის „გადადგომას" უწოდა „საქმეებისაკენ დროებით ჩამორთმევა". საფულაჩმოა, რომ წინასწარ ჩან კაი-შიმ განაცხადა რამდენიმე ზოგიერთი ფრიად საინტერესო „ოპერაცია". ეჭინარეს ყოველსა მან ყველაზე ეთნიკული თავისი გენერალები დანიშნა მნიშვნელოვან პოსტებზე სამხრეთ ჩინეთის პროვინციებში. განხორციელებულ იქნა ლონისძიებანი სამხრეთი პროვინციების — ფუძიანის, გუანდუნის, ჯეკიანის და ბეიანის „სახელმწიფო" გადასაცემად, რათა ომი განაგრძონ, თუ სახალო მოლაპარაკება ჩაიშლება. იქნილ ეგზაგნებან შანხაის ინიციატივან ეგრეთ წოდებული ჩან კაი-შის პირადი ჯარები, რომლებშიც 150-200 ათასი კაცი ითვლება.

მაშასადამე, შეიძლება ექვი არ ეიქნაროთ, რომ ჩან კაი-შის „გადადგომა" მორიგი მანეკენი. № 1 სამხედრო დამნაშავემ გადაწყვიტა დროებით მიიმალოს, რათა გადეადგილოს. გომინდანელებს სახალო მოლაპარაკებისა და მათთვის ესოდენ სასურველი შესვენების მიღწევის შესაძლებლობა.

გომინდანური რეაქცია და მისი ამერიკელი სულისჩამდგმელნი ორმაგ თამაშს ეწევიან: ისინი ცდილობენ ყოველი საშუალებით შეაჩერონ დემოკრატიული ძალების შეტევა, შესვენება მოიპოვონ და ამავე დროს გადაეცემებით ცდილობენ შეაგროვონ თავიანთი ჯარების ნაშთები, რათა კვლავ გაუწიონ წინააღმდეგობა სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას სამხრეთ ჩინეთში. მაგრამ რეაქციის ახალი ხრიკები სამარცხვინოდ ჩაიფიშვნა.

ამასწინათ საინტერესო ინფორმაცია გააკეთა ინგლისელთ ბანდეთ „ტაიმსის" ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა. მან განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვართ ვალიაროთ, რომ მარტო იარაღით ვერაფერს გაუწყობს კაცი ომს, სადაც არ არსებობს არაკეთილი იდეალი და არაკეთილი მორალი". ამრიგად, ამერიკელი და ინგლისელი ბატონუფროსები პრესასთვისაც კი ნათელა, რომ ჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩაიფიშვნა.

ჩინეთში კომუნისტები გამოდიან, როგორც ყველაზე ერთგული, თანმიმდევრული და თავდადებული მებრძოლნი შვიდობისათვის, დემოკრატიული უფლებებისათვის, ნამდვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მათ სამართლიანად უწოდებენ ჩინეთი ხალხის სინდისსა და იმედს.

ჩინეთის დემოკრატიულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელში ალღეს დამნაშავეთა. ეს ბრიგი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის დრამა. ეშვი არ აქვს, რომ ჩინელი ხალხი ბოლომდე მიიყვანს ჩან კაი-შის რეაქციული დიქტატურისა და ამერიკელი კოლონიზატორებისაგან თავისი ბედეული სრული განთავისუფლების საქმეს.

ფ. ტერსკი.

(„ლიტერატურნაია გაზეთა").

უნგრეთის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

ბუდაპეშტი, 14 თებერვალი. (საკუდსი). უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება იუწყება, რომ 10 თებერვალს ამერიკის არმიის პო